საქართველოს გენერალური პროკურორის

ბრძანება №012

2021 წლის 22 დეკემბერი

ქ. თბილისი

,,პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 10 დეკემბრის №047 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 10 დეკემბრის №047 ბრძანებით (ვებგვერდი, 11.12.2020, სარეგისტრაციო კოდი: 110060080.70.082.016060) დამტკიცებული პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების სისტემის 31-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1 იმ შემთხვევაში თუ პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის კომპეტენციის განმსაზღვრელი საბოლოო ქულა 0.5 ქულის ფარგლებში ჩამორჩება კომპეტენციის განმსაზღვრელი ქულის ზედა ზღვარს, კომპეტენციის განმსაზღვრელი საბოლოო ქულა განისაზღვრება მის სასარგებლოდ, არაუმეტეს 0.5 ქულის დამატების გათვალისწინებით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გენერალური
პროკურორი **ირაკლი შოთაძე**